# სახალხო გაზეთი

№ 1025 ხუთშაბათი, 24 ოქტომბერი 1913 წ. № 1025

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ ოვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.**

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა


## სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა
## „რექტიფიკატ" (დ. ზ. სარაჯიშვილის ფირმით მოვაჭრე)

ურჩევს იყიდონ ახლად გამოსული არაყი სახელით: „რექტიფიკატ", რომელიც დამზადებულია პურის გაწმენდილ სპირტისაგან, საუკეთესო ღირსებისა და საგანგებოდ გაწმენდილია. ეს არაყი იყიდება ყველგან. 1522

---

გაზ. „მშაკის" რედაქცია გამოუთქმელი მწუხარებით იუწყება რედაქტორ-გამომცემლის

## ალექსანდრე ჰაირაპეტის ძის
## ქალანთარის

უეცრად გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 20 ოქტომბერის ნაშუადღევის $12^{1}/_{2}$ საათზე. მცირე პანაშვიდი დანიშნულია დღეს, 24 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, „მშაკის" რედაქციაში, სერგეევის ქუჩა № 5. დაკრძალვა შაბათს, 26 ოქტომბერს, ხოჯივანქის სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, გრიბოედოვის ქუჩა, № 5. დილის 10 საათზე. 1548

---

კავკასიის სარძეო საქმის ინსტრუქტორთა ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით იუწყება

## ალექსანდრე ჰაირაპეტის ძის
## ქალანთარის

უდროოდ გარდაცვალებას. 744

---

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 14—7.

ხუთშაბათს, 24 ოქტომბერს, ქართ. დრამ. საზოგად. დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება სოფოკლეს ცნობილი ანტიური ტრაგედია

## ოიდიპოს მეფე

ამ პიესისათვის გაკეთებულია ახალი დეკორაცია და ტანისამოსები. ტრაგედია დადგმული იქნება რეინჰარტის გეგმით. პიესის დასაწყისს და დასასრულს აუწყებს ანტიური მუსიკა. რადგან მსახიობები პარტერიდან შემოვლენ სცენაზე, პარტერის და ლოჟების კარები დაკეტილი იქნება სრულ 9 საათზე და ამის შემდეგ დარბაზში არავის არავითარ შემთხვევაში არ შეუშვებენ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ასათიანისა, ქიქოძე, შოთაძე, სალარიძე, თოიძე; ბ-ნნი: არადელი-იშხნელი, ბარველი, გომელაური, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, სარაული, ციციშვილი, შანშიაშვილი, შალიკაშვილი, ხონელი,

**დასაწყ. საღ. 8 ს. დასასრული 10 ს. 40 წ.** ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

**რეჟისორი მ. ქორელი.** ადმინისტ. ქართ. დრამატ. საზოგად.

ანონსი: მზადდება წარმოსადგენად: კულტურული მკვლელობა, ნაგავი, სინათლე, ზამთრის სიზმარი, მხსნელი და სხვა.

---

## ქ უ თ ა ი ს ი ს  ქალაქის თეატრი

**კვირას, 27 ოქტომბერს,** ქართველთა შორის, წერა-კითხ. გამავრცელ. საზოგადოების ქუთ. განყოფილების თაოსნობით გაიმართება ჩვეულებრივი

## ილიას საღამო.

წარმოდგენილი იქნება ილია ჭავჭავაძის

## კაცია-ადამიანი

ქ-ნნი ელ. ჩერქეზიშვილისა და ეპიტაშვილის ასულისა, ბ-ნნი ყალაბეგაშვილისა და ციციშვილის მონაწილეობით.

გარდა ამისა საღამოში მონაწილეობას მიიღებენ: **კიტა აბაშიძე,** კლასიკური მუსიკის ხალხში გამავრცელებელ **ილიკო ქურხული,** ცნობილი ვიოლონჩელისტი **კოპელნიცკი,** ქ-ნი ციციშვილის აკომპანიმენტით და ქუთაისის მომღერალთა გუნდი. სცენის ფონზე ნაჩვენები იქნება **ილიას ძეგლი** მთაწმინდაზე **ცოცხალ სურათად.** დაწვრილებით პროგრამებში.

ადგილების ფასი **საბენეფისოა.** 1550

---



პირველ-ხარისხოვანი

## დიდი ცირკი
## ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპ., მუშტაიდ. შესავალთან, ნ. კუნდუროვის ადგილზე.

**დღეს, 24 ოქტომბერს, 1913 წ. გაიმართება**

## დიდი წარმოდგენა

მე-6 დღე გამოჩენილ ფალავანთა ფრანგულ **ჭიდაობისა.** ეს ჭიდაობა მოწყობილია პეტერბურგის „ვესტნიკ სპორტის" რედაქციისაგან და მოხდება თვით რედაქტორის ნ. ი. პეტროვის ხელმძღვანელობით.

დღეს ჭიდაობენ: **პუგაჩოვი და ფონ-ფრეიუნდორფერი; კოსტა მაისურაძე და მაილოვსკი; თომაგატა მუხაძურა და ციპსი; ვეიმანი და ხეპნიკი.** ჭიდაობა 9-ნახევარ ს.

741 **დასაწყ. საღამ. 8 საათზე.** **დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა.**

---

## სამკერვალო
## ანასტასია გედევანიშვილისა

ამით აცხადებს, რომ სწავლა დაიწყო. ბავშვების მიღება ყოველ დღე. ზალთან გაიხსნა მოსამზადებელი განყოფილებაც. 1518

---

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

## სამკურნალო
საწოლი ოთახებით

## მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

---

## ქართული თეატრი
ანონსი.

## დავ. კლდიაშვილის საღამო.

ანონსი. გაიმართება 5 ნოემბერს.

1591

---

## ქ-ნი პორტუგალოვისა

აცხადებს, რომ

**საფეიქრიკო მაღაზიაში,** რომელიც ნიკოლოზის ხიდთან № 23—24 არის,

ზამთრის სეზონის დასასრულის გამო დანიშნულია

## დიდი ვაჭრობა

**მამაკაცთა, ქალებისა და ბავშვების ტანისამოსისა.**

**30 პროც. დააკლდება ფაბრიკის ფასს.**

ვიმედოვნებ, ვინც ჩვენს მაღაზიაში იყიდის, კმაყოფილი დარჩება. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ მაღაზიას ყოველ კვირა მოსდის ახალ-ახალი საქონელი რომელიც ძვირად არ იყიდება.

1491 პატივისცემით ქ-ნი პორტუგალოვისა.

---

## დაიბეჭდა და იყიდება
მოსწავლეთათვის საჭირო წიგნი

## მცენარეები და ცხოველები ცხელი ქვეყნებისა

**მრავალი სურათით.** შედგენილი ალექსი ჭიჭინაძის მიერ. ფასი 35 კაპ.
(დაეთმობათ ნაკლებად ვინც ათზე მეტს იყიდის)

**იყიდება ტფილისში მ ხ ო ლ ო დ ჯეჯილის რედაქციაში.**
(არტილერიის ქუჩა). 1503

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მაღალაშვილი გ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—1. ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>**ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—$1^{1}/_{2}$.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—1.<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე $1^{1}/_{2}$—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^{1}/_{2}$. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. წ. 1466

---

**ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა**

## გ. მეჯრაბიანცი

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი** და გულისა შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინური** წამლობა. ხელოვნური **პნევმოტარაქსი. რენტგენის ელვასხივური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშუქვა.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. **საწყლებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

---

✦ **გამოსულია და იყიდება** ✦

## ნ. შიუკაშვილის

პიესა **„მეგობრობა"**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

---

## მოსწიეთ ახალი პაპიროსები

## ნ ა ი ვ ა

ამხ. „პოეტა"

**ტფილისი**

**20** ცალი **6** კაპ. **10** ც. **3** კაპ.

1497

---

## საბურთალოზე

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

---

## სამკურნალო
**სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა**

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე. ...ბისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ბელანჟე.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—$11^{1}/_{2}$ ს.

**ბოჟოვსკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვორობიოვი**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**შამაში,** სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**გრიგორიანი.** ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნახ. საათ.

**ახპისოვი**—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

**რუდენკო.** შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

**ატენიანცი.** ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

**ი. ბ. ჩუდნოვსკი.** ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**მხიტარიანი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**ნოვიცკი.** ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

**კალატკაროვი.** ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ექ. ქალ. ითხელიანი.** ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**გეინაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

**ბაგდოევი**—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wassermann"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

---

**ექიმი გ. მ. ღოღობერიძე** ღებულობს ავადმყოფებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. დღისით 1—3 საათამდე. საბებიო და ქალის ავადმყოფობანი. სლეპცოვის შესახვევი № 3. 1524

---

## აგენტმა
## ივანე გრიგოლის ძემ
## ხალათიანმა

ავადმყოფობის შემდეგ **განაახლა** განცხადებებისა და ხელის-მოწერის მიღება ადგილობრივისა და ქალაქ გარეთულ გამოცემებისთვის. წინანდელივით ეხლაც სინდისიერად და კარგად ასრულებს თავის მოვალეობას. მიხეილის პრ. № 119, სახლი ფორიერისა. ტელეფონი 697. 1493

---

## ტფილისის საპოლიტეხნიკო კურსები
## ინჟენერ მ. ნ. ვინოგრადოვისა.

განყოფილებანი: სამიწად-მზომელო, საალმშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და კომერციული. სამიწად-მზომელო და საალმშენებლო განყოფილებებზე მსურველთ იღებენ. **მეცადინეობა 7 ოქტომბერს** დაიწყო. მოწაფეების მიღება გრძელდება. კურსებზე იღებენ სამოქალაქო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ გამოუცდელად, დანარჩენებს კი გამოცდით. კურსები იმყოფება სასულიერო სემინარიის ძველს შენობაში. 712

**ექიმი** პ. ლ. კიკალიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

**ექიმი** ი. ზ. ბძოლიშვილი სწამლობს შინაგან, თვალის და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., 5—7 სათ საღამოს 19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 688

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

**ექიმი** კბილისა პ. მ. მუმულია-კუხალაიშვილი იღებს დილით 9—2 საათამდე, საღამოს 4—7 ს. ანდრეევის ქუჩა № 81, ვაგზლის ახლო. 697

**ექიმი** ივ. გომართელი ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება დილის 8—12 საათ. საღ. 5—7 საათ. ოლგას ქუჩა, № 20. ტელ. 633. 654

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

**ექიმი** მ. მუსხელიშვილი მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

**გარეშე ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გამაკრე.** ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს.

**ბ. ა. პთიმთგი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

**ექ. ქალი როსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—1½ ს.

**ნ. მ. შელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**გ. ვ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. ყოველდღე ყვავილის აცრა და თიქების გასიჯვა ფასი ორივესათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**ნაგლობა „606“-ით** 1462

# თავად-აზნაურების იდეოლოგი

ხიზანთა საკითხი ბევრს აინტერესებს, მაგრამ ყველას ერთნაირად არა. ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი არის წერილი ვინმე ან-ფარისა, რომელიც „ზაკავკ. რეჩ“-ის ფურცლებზე ხიზანთა საკითხისა და „სიზნების იდეოლოგთა“ შესახებ წერილების ბეჭდვას გვპირდება. ჯერჯერობით ბ-ნი ან-ფარი ლ. ყიფიანსა და თევდ. ღლონტს ეკამათება. მაგრამ ამ პოლემიკურ ნაწილშიაც, სრულიად დამოუკიდებლად იმისა, რომელი მხარეა მართალი არსებითად, ბევრი რამ არის ისეთი, რაზედაც გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება. ბ-ნ ან-ფარს შესაძლებლად მიაჩნია ლევ. ყიფიანის საწინააღმდეგო არგუმენტად მოიყვანოს ის წინდა „მემამულური“ და მხოლოდ ავტორის ვიწრო აზროვნების დამამტკიცებელი მოსაზრება, რომ „პატივცემულ პუბლიცისტს საგვარეულო მამულიდან ფეხის ერთი დასადგმელი მიწა აღარ დარჩენია“. ბ-ნ ან-ფარს ეს არგუმენტი ალბად გამანადგურებლად მიაჩნია. ჩვენ კი გვგონია, რომ საკითხის გამორკვევისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, ჰყავს ხიზნები თუ არა პუბლიცისტს, რომელიც ხიზანთა საკითხს არჩევს. თუ, მიუხედავად ამისა, ბ-ნი ან-ფარი მაინც ხაზს უსვამს ამ გარემოებას, ამით მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ თვითონ ყოფილა ისეთი ჯურის მწერალი, რომელსაც ვერც კი წარმოუდგენია, რომ შესაძლებელია ობიექტიური განხილვა საკითხისა, გარეშე წოდებრივ ინტერესებისა. ვითომ რაო? განა აღამიანს რომ საგვარეულო მამულიდან მიწები აღარ დარჩეს, მას ნაკლებად შეეძლება ხიზანთა ინსტიტუტის ხასიათის გაგება და მისი სათანადო შეფასება, ვიდრე იმ მემამულეს, რომელიც ჯერ ისევ ძველებურ ურთიერთობაში აღზრდილ ჩვეულებათა და შეხედულებათა მორევში დასცურავს? ძდაბიურად ბ ნ ან-ფარის სიტყვები აი რასა ნიშნავს: „თქვენ რა გენაღვლებათ, საგვარეულო მიწები დაჰკარგეთ და ალბად ხიზნებიც აღარა გყავთ. ხოლო იმათ ზულშიაც ჩაიხედეთ, რომელთაც ხიზნები ჰყავთ და ამის შემდეგ კი ხელიდან უნდა გამოეცალოთ სახაზინო მიწებიო“. გვესმის, ძალიან კარგად გვესმის გოდება ბ-ნი ან-ფარისა. მართლაც რომ საშინელი მდგომარეობაა! ამისთანა ყოფაში ის ლენდლორდებიც კი არ იქნებიან, რომელთაც საგვარეულო მამულებს მოკლებული ვიღაც „რაზნოჩინეცი“ ლლოიდ-ჯორჯი უსაშინელეს საფრთხეს უმზადებს — ჰსურს მიწები ჩამოართვას ზოგიერთს ლორდებს იმ უბრალო მოსაზრებათა ძალით, რომ მათ თავიანთი ქონებისთვის ვერ მოუვლიათ. ვერ უვლით? მოიტა აქა. იმას მივცემთ, ვისაც მოვლა შეუძლიან. ასე ეუბნება ლლოიდ-ჯორჯი ლენდ-ლორდებს და, აბა, მითხარით, თუ გწამთ ღმერთი, როგორ შეიძლება ამ უკანასკნელთა მდგომარეობა შეედაროს ჩვენებურ მემამულეთა მდგომარეობას! ის, რასაც საგვარეულო მამულებს მოკლებული ლლოიდ-ჯორჯი უმზადებს ინგლისის ლენდ-ლორდებს, სრულიად უმნიშვნელო რამ არის შედარებით იმასთან, რასაც მეოცე საუკუნის დასაწყისში ძლივს ეღირსა განხორციელებას. წარმოდგენილი გვაქვს, რა კილოზე დაიწყებდა წერას ბ-ნი ან ფარი, იგი, რომ ინგლისში ყოფილიყო და ჰქონოდა თუნდაც ერთი მეათასედი იმ მიწებისა, რომელთა პირდაპირ ექსპროპრიაციასაც აპირებს საიდგანღაც გამოტყვრენილი ლლოიდ-ჯორჯი. ბ-ნი ან-ფარი მაშინვე პირში ახლიდა თავის ყოვლად ძლე არგუმენტს, ბევრს რას ლაპარაკობ, შე საგვარეულო მამულს მოკლებულოვო! ლლოიდ-ჯორჯიც უსათუოდ აკანკალდებოდა, აცახცახდებოდა და მეფესთან აფრენდა სამსახურიდან გადადგომის ქაღალდს. საბედნიეროდ ბ-ნი ან-ფარი ინგლისელი არ არის და სწორედ ამიტომაც ლლოიდ-ჯორჯი განაგრძობს მუშაობას აგრარულ რეფორმისთვის, რომელიც თავისი მნიშვნელობით ხიზანთა საკითხს იქნება არ უდრიდეს, მაგრამ საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი კია იმისა, რომ იქ, სადაც საზოგადოებრივი ინტერესი და დემოკრატიზმი, სოციალური სამართლიანობის დამყარება ფუჭი სიტყვა არ არის, საგვარეულო მამულებსაც უცეremონიოდ ექცევიან, თუ ამას საერთო საზოგადოებრივი ინტერესი მოითხოვს. მაგრამ თავი დ ვანებოთ ლლოიდ ჯორჯს და მის აგრარულ რეფორმას. მას საგვარეულო მამული არა აქვს და მისი მატრაკვეცული პროექტი როგორ უნდა შევადაროთ „საგვარეულო მამულების“ ფსიხოლოგიით გაჟღენთილ ბ-ნ ან ფარის ბრძნულს პროექტს! სად ან-ფარი, სად ლლოიდ-ჯორჯი?!

ბ-ნი ან ფარის სხვა არგუმენტები ისეთივე თვისებისაა, რანაირიც პირველი. იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ხიზანთა ინსტიტუციის გაუქმება იმ სახითაც კი, რანაირადაც მთავრობამ მოისურვა სრულიად მისაღები არ არის, რადგანაც ისედაც გაღარიბებულ თავად-აზნაურობას უფრო გაღარიბებსო. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად ბ-ნ ან-ფარის მოჰყავს სტატისტიკური ცნობები ბ-ნ გოგიჩაიშვილის სტატისტიკური კრებულიდან, რითაც ჰსურს დაამტკიცოს, რომ თერთმეტ-თორმეტ დესეტინის ჩამოჭრა დასჭირდება ისეთს მემამულეებსაც, რომელთაც 0—25 დესეტინამდე აქვთ. ანგარიში უბრალო არითმეტიკულია და სრულიად არსაიდანა სჩანს, შეეფერება თუ არა ეს ანგარიში რეალურ სინამდვილეს. ბ ნი ან ფარი იღებს ციფრებს იმის შესახებ, რომ არსებობს 367 მსხვილი მამული (500 დესეტინიანზე მეტი), რომელთაგან უმტკივნეულოდ შეიძლება გამოიყოს თერთმეტი დესეტინა. მაგრამ არის 0—25 დესეტინიანი მამულები, რომელთაგან ყოვლად შეუძლებელია გამოიყოს რამე თუ თერთმეტი, ხუთი დესეტინაც კი. ჩვენ სწორედ ვერ გაგვიგია, რად დასჭირდა ამ ციფრების მოყვანა ბ-ნ ან-ფარს? არა გვგონია იყოს საღმერთო ადამიანი, რომელიც ამბობდეს 0—იან მამულიდან შეიძლება თერთმეტი დესეტინა გამოიყოსო. ვერ გამოიყოფა იმ უბრალო მოსაზრების ძალით, რომ მემამულეს, რომელსაც მხოლოდ 0—25 დესეტინამდე აქვს, ხიზნებიც არ ეყოლება. ორი და სამი დესეტინა ყმამულეს თითონ სჭირდება და ვერას გზით ხიზნებს ვერ დაასახლებს. ხიზნები ჩვეულებ ივ სახლდებოდნენ ისეთს მემამულეებთან, რომელთაც საკმაო თავისუფალი მიწა ჰქონდათ. ეს აპრიორულადაც შეიძლება ითქვას. გარდა ამისა, ბ-ნ ან-ფარს მოჰყავს მხოლოდ ორი უკიდურესი ციფრი—ხუთასზე მეტი და 0—25-მდე. ამათ შუა არის სხვანაირი ციფრებიც: ოთხასი, სამასი, ორასი, ასი და სხვ. რად დაავიწყდა ბ-ნ ან-ფარს ამ ზომის მამულების არსებობა? არც ოთხას დესეტინიან მამულიდან შეიძლება თერთმეტი დესეტინის გამოყოფა?

იმავ ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილის კრებულში დაწვრილებითი ცნობებია მოყვანილი იმისა, თუ რამდენია მამული ზომით 50—75 დესეტინამდე, 100—250 დესეტინამდე, 250—500 დესეტინამდე, 500—750 დესეტინამდე და 750 დესეტინიდან ზევით. რად შეჩერდა ბ-ნი ან-ფარი 0—25 და 500 დესეტინიან მამულებზე? რატომ არ გაიხსენა, რომ არის ისეთი მამულებიც, გარდა 500 დესეტინიანისა, რომელთაგანაც თამამად შეიძლება თერთმეტი დესეტინის გამოყოფა? თუ ბ-ნ ან-ფარს ნორმად 500 დესეტინიანი მამული მიაჩნია, მაშინ ისეთი მამულები მაინც უნდა მოეხსენებინა, რომელთა ზომაც 500 მეტს შეადგენს. რა ჰქვიან ისეთს საქციელს? ბოდიშს ვიხდით ბ-ნ ან-ფართან, მაგრამ ამნაირ მანერას წერისას სტატისტიკური ცნობების ფალსიფიკაცია ჰქვიან. როგორ მოხდა, რომ ბ-ნ ან-ფარმა ვერ დაინახა ის, რაც ყველა ანბანის მცოდნე დაინახავდა? ეს მოხდა იმიტომ, რომ ბ-ნი ან-ფარი თავად-აზნაურული ტრადიციებით არის გაჟღენთილი და არა ჰსურს დაინახოს ის, რასაც სხვანაირ შემთხვევაში მშვენიერად დაინახავდა.

ლაპარაკი იმის შესახებ, ხიზანთა ინსტიტუტის გაუქმება იმ სახით, როგორც მთავრობის პროექტით არის განზრახული, თითქმის ბოგანოებად აქცევს თავად-აზნაურობასო, ყოვლად შეუსაბამოა, რადგანაც დიდი ნაწილი ხიზნებისა დასახლებულია მსხვილ მემამულეთა მიწებზე. შეიძლება ზოგიერთი გამონაკლისი იყოს და მცირე მამულიანსაც ჰყავდეს ხიზანი, მაგრამ ეს გამონაკლისი შეუძლებელია კანონმდებელმა მხედველობაში მიიღოს. გამონაკლისი რომ ავილოთ ხოლმე სახელმძღვანელოდ, ვერარავითარი კანონი ვერ გამოიცემა. საერთო მდგომარეობა ხიზნობისა კი ისეთია, რომ მათი განთავისუფლებით მიწები აკლდებათ მსხვილს მემამულეებს. მართალია ეს მსხვილი მემამულენი რუსეთის მსხვილ მემამულეთა ჩრდილსაც კი არ წარმოადგენენ, მაგრამ არც ისეთი პატარანი არიან, რომ ხიზანთა ინსტიტუტის გაუქმებამ ისინი ბოგ ნოდ აქციოს.

ბ-ნ ან ფარის პროექტის დედაძარღვი ის არის, რომ ხიზნებს მიწა უნდა მისცეს არა თავად-აზნაურობამ, რომელთა მიწებიც ფაქტიურად მათუ ქირავთ, არამედ სახელმწიფომ. ჩვენ სრულიადაც არ ვიცავთ იმ აზრს, თითქოს სახელმწიფოს მიწები იყოს ხელ-უხლებელი რამ, რომლის მობილიზაციაც გლეხთა მიწადმფლობელობას გასაუმჯობესებლად შეუძლებელი იყოს. პირიქით, სახელმწიფოს, თუ მას ჰსურს რეალური დახმარება გაუწიოს გლეხკაცობას, სწორედ თავისი მიწები უნდა აამოძრავოს და მათი დახმარებით გააფართოვოს გლეხთა მიწადმფლობელობა. მაგრამ, ამისდამიუხედავად, ბ-ნ ან-ფარის პროექტი მაინც ყოვლად შეუსაბამოდ მიგვაჩნია. გლეხები მარტო ხიზანთაგან არ შესდგებიან. არის მრავალნაირი კატეგორიის გლეხ-კაცობა, რომელთა მდგომარეობაც გაუმჯობესებას საჭიროებს. ერთი კატეგორია ამ გლეხ-კაცობისა, დროებით ვალდებული გლეხები, ასე თუ ისე ახალს პირობებში მოექცა. არიან სახელმწიფო გლეხებიც, რომელთა მდგომარეობა ხიზნებზე უკეთესი არ არის. ყოველ შემთხვევაში თვით ბ-ნი ან-ფარი ბრძანებს, სამწუხაროა ბედი ქართველებისა: დროებით ვალდებულებისა, **სახელმწიფო** გლეხებისა და გლეხ-მოიჯარადრეებისაო. სახელმწიფომ რომ თავისი მიწები, რომლებიც ეხლა სახელმწიფო გლეხებს უქირავთ, ხიზნებს დაურიგოს, მაშინ სახელმწიფო გლეხების მდგომარეობა ხომ უარესი გახდება? თუ სახელმწიფოს აქვს თავისუფალი მიწა, გაცილებით უფრო სამართლიანი იქნებოდა, რომ ეს მიწები შეღავათიან პირობებში ისევ სახელმწიფო გლეხებისთვის მიეცათ. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ საქართველოში თავისუფალი მიწა ცოტაა. თვით დღევანდელი მთავრობაც კი აღიარებს, რომ, მიუხედავად დიდის სურვილისა, საქართველოს შუაგულში მოუხერხებელია რუსების გადმოსახლების პოლიტიკის წარმოება მიწის სიმცირის გამოვო. თუ ამ დასკვნამდე კავკასიის უმაღლესი მთავრობაც კი მივიდა, სჩანს, მართლაც, საქმე არც ისე ყოფილა, როგორც ბევრს შეიძლება ეგონოს. მიწის სიმცირე მოგონილი ზღაპარი არ არის. იგი ფაქტია და ამასთანავე ერთად იმდენად თვალსაჩინო ფაქტი, რომ კავკასიის უმაღლესი მთავრობაც კი იძულებული გახდა ეღიარებინა იგი. ხიზნების გადასახლება სახელმწიფო მიწაზე სახაზინო გლეხების მიწად-მფლობელობის შემცირების მომასწავებელია. ეს კი ისე გაამწვავებდა მდგომარეობას და ისეთს საშინელ ყოფაში ჩააგდებდა სახელმწიფო გლეხებს, რომ მგონია თვით ბ ნი ან-ფარიც არ დარჩენილიყო კმაყოფილი.

რა მოსაზრების ძალით შეგვიძლიან მხარი დავუჭიროთ ისეთ პროექტს, რომელიც ხიზანთა ინსტიტუტის გაუქმების სიმძიმეს თავად აზნაურთა „სუსტი“ მხრებიდანა ხსნის და უფრო სუსტს ელემენტებს ადებს ბეჭებზე? უფრო რაციონალური და სამართლიანი ის არის, რომ ხიზნებს ჩამოეჭრას ის მიწები, რომლებზედაც დღეს მოსახლეობენ, რომელთა გასაუმჯობესებლად ოფლი დაუღვრიათ და ამაგი გაუწევიათ.

თუ ამას ვერა ჰგრძნობს ბ-ნი ან-ფარი, ეს მხოლოდ იმით უნდა აიხსნას, რომ ხიზანთა საკითხში მას თავად-აზნაურული პოზიცია უჭირავს და საზომადაც მხოლოდ მემამულეთა წოდებრივი და კლასიური ინტერესი გაუხდია. მაშ, რაღად უკვირს ბ-ნ ან ფარს, რომ მისმა პროექტმა არავითარი თანაგრძნობა არ გამოიწვია იმათ მხრით, ვინც დიდი ხანია წოდებრივ ცრუმორწმუნეობისაგან განთავისუფლდა? გასაკვირელი ეს კი არ არის, საკვირველი ის არის, რომ, როდესაც სასწორზე დაიდო ინტერესები მემამულეებისა და ხიზნებისა, გამოჩნდა თუნდაც ერთი ისეთი ადამიანი, რომელიც მემამულეებისკენ გადაიხარა. არც ეს არის დასაძრახისი. რატომ მემამულემ კი არ უნდა დაიცვას თავისი ინტერესი? ან რატომ არ უნდა ჰყავდეს თავისი იდეოლოგი? დაე იყოს, მაგრამ ჩვენც ასეთს ადამიანს თავის სახელს ვუწოდებთ და თავად-აზნაურობის წოდებრივ იდეოლოგს დავარქმევთ. ბ-ნ ან-ფარის სახით ჩვენ ვხედავთ ტიპიურს თავად-აზნაურს იდეოლოგს.

**არ. ჯ—შვილი.**

P. S. ეს წერილი უკვე აწყობილი იყო, როდესაც შევამჩნიე, რომ ბ-ნ ან-ფარის წერილიდან ერთი ადგილი შეცდომით მაქვს განმარტებული. იგი ნორმად აღიარებს არა 500 დესეტინიან მამულს, არამედ მიწებს, რომელთა ზომაც 500 დესეტინაზე **ზევით ადის.** ამისთანა ზომის მიწები კი ტფ. გუბერნიაშიო, არის 367 (6,14%). ვასწორებ ამ შეცდომას, მაგრამ აქვე საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ეს შეცდომა არსებითად არაფერსა სცვლის, რადგანაც 500 დესეტინიან მამულიდანაც ისევე შეიძლება გამოიყოს თერთმეტი დესეტინა, როგორც 600 ან 750 დესეტინიან მამულიდან. ყოველ შემთხვევაში 0—25 დესეტინიდან 500—750 დესეტინამდე არის მთელი რიგი მამულებისა, რომელთაც ბ-ნი ან-ფარი მხედველობაში არ იღებს.

**ა. ჯ.**

# ახალი ამბავი

**ტფილისი**

✦ გუშინ ქალაქის თვითმმართველობის ყველა მოსამსახურემ ვერ მიიღო ჯამაგირი, რადგანაც ქალაქის კასაში საკმარისი ფული არ აღმოჩნდა.

✦ **„ფაუსტი“ ქართულად.** ჩვენი ახალგაზდა პოეტი სანდრო შანშიაშვილი შესდგომია გეტეს „ფაუსტის“ თარგმნას გერმანულიდან. რედაქციამ უკვე მიიღო პოემის შესავალი თარგმანი, რომელიც რითმიანი ლექსითაა გადმოღებული.

✦ **ექსკურსია.** 20 ოქტომბერს ვაჟთა მეორე გიმნაზიის უფროს კლასების მოსწავლენი ავჭალას იყვნენ, სადაც დაათვალიერეს ქალაქის წყალსადენი.

✦ **ფრინველთა გამოფენის** დახურვა დღეისთვის იყო განზრახული, მაგრამ აღიძრა საკითხი გამოფენის გაგრძელების შესახებ.

✦ **ლექციები.** მოკლე ხანში საზოგადო კლუბში დაიწყება ლექციები ლიტერატურის შესახებ. 26 ოქტომბერს პირველ ლექციას წაიკითხავს მ. ა. წულუკიძე მე 19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე; 2 ნოემბერს წაიკითხავს მოსკოველი ლექტორი ლ. ს. კოზლოვსკი დოსტოევსკიზე, 16 ნოემბერს—ვ. ი. შამოვი ტურგენიევზე, 23 ნოემბერს—ა. მაკოვი ოგარიოვზე (მისის დაბადებიდან ასის წლის თავის შესრულების გამო), 30 ნოემბერს—მ. ი. ბერბერიანი სტამბოლის დღევანდელ მწერლების შესახებ და დეკემბრის პირველ რიცხვებში ვ. ა. მიაკოტინი („რუსკ. ბოგატსტვო“-ს თანამშრომელი)—გერცენზე.

✦ **სასანიტარო დათვალიერება.** ქალაქის საბჭოს სასანიტარო ექიმმა ნ. დ. ხატისომმა და სასანიტარო მზრუნველმა, საბჭოს ხმოსანმა გ. ი. თოიძემ ამ დღეებში ბაზრის ქუჩაზე სავაჭრო დაწესებულებანი დაათვალიერეს. ბევრგან აღმოაჩინეს დამპალი ხილი, მყრალი ხორცი და ჭუჭყიანი ბუბლიკები. აბრამოვის მაღაზიაში აღმოაჩინეს ფუთ ნახევარი ჭუჭყიანი და უვარგისი კამფეტი. დამნაშავეებს ოქმები შეუდგინეს სამართალში მისაცემად.

✦ **ქალაქის ხარჯთაღრიცხვის** განსახილველად 21 ოქტომბერს შეერთებული კრება მოხდა ქალაქის საბჭოს საფინანსო, საბიუჯეტო და სარევიზიო კომისიისა. კრებამ განიხილა ხარჯების მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე მუხლები და მეთორმეტე მუხლიდან დაწყებული მეთექვსმეტემდე. კრებამ ამ მუხლების ხარჯები 4250 მანეთით შეამცირა.

✦ **გ. ვ. მუსელიუსი,** ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი, განჯის გუბერნიას გაემგზავრება საფოსტო დაწესებულებათა დასათვალიერებლად.

✦ **ავადმყოფი ჟურნალისტი ლევან ყიფიანი** ამ ჟამად თავს უკეთ გრძნობს. საავადმყოფოში წოლა ჯერ კიდევ კარგა ხანს დასჭირდება.

✦ **სხვა და სხვა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის** 22 ოქტომბერს ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველმა ე. გ.

# ქართველი მაჰმადიანები და ს. ქაქუთის სამისიონერო სკოლა

(წერილი გურიიდან)

I

ეს სოფელი იმყოფება ქ. ოზურგეთის სამხრეთით, ქალაქზე 7—8 ვერსის დაშორებით, მდ. ჩოლოქის პირას. მცხოვრებლებს უმეტესი ნაწილი ქართველი მაჰმადიანებია, (70 კომლი) ხოლო უმცირესობას ქრისტიანები შეადგენენ (40 კომლამდე). მაჰმადიანები მდინარის გაღმა სამხრეთით სახლობენ, ქრისტიანები გამოღმა. თუმცა გაღმა-გამოღმა მხარეს ერთი და იმავე სახელი-ქაქუთი ჰქვიან, მაგრამ პირველი ეკუთვნის კინტრიშის საბოქაულოს, მეორე კი გურიანთისას. ხსენებულ მდინარის სიპატარავის გამო ამ ორ სხვა და სხვა სარწმუნოების ხალხს ხშირი მ სვლა-მოსვლა აქვთ ერთმანეთში, რაც საყურადღებო მით არის, რომ მაჰმადიანები ქართულ ყოფა-ცხოვრებას ეცნობიან და ითვისებენ. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ მაჰმადიანებში ერთიც არ არის თურქული ენის მცოდნე. ასე გასინჯეთ, იმათ სამლოცველოში (ჯამე) ქადაგებს მხოლოდ ქართულ ენაზე მოხუცი „ხოჯა“.

ოჯახური მოწყობილობა, ზნე-ჩვეულება ნამდვილი ქართველური აქვთ: გურული „ოდა“, (კრამიტით გადახურული) სამზარეულო სახლი, სასიმინდე, ბეღელი, მარანი (ღვინის სარდაფი—საკვირველია!) და სხვა; ხეხილები ხეები ვენახებით ამშვენებენ მაჰმადიანის ლამაზად შელობილ ეზოს. ეზოში ხედავთ მოსაქმე ნამდვილ ქართველ დედა-კაცს, ქართული ტანისამოსით, რომელიც მხოლოდ რამოდენიმე წუთის შემდეგ იფარებს პირზე თავზე შემოხვეულ ჩითის ნაჭერს. ეტყობა, მაჰმადიანური კარჩაკეტილობა, მეზობელ გურულ დედა-კაცების წახდენილებით, დიდად არა სწამს, მაგრამ ჯერ მისგან თავი მაინც ვერ დაუხწევიათ. აქაური მაჰმადიანები, როგორც მათი გვარები მოწმობენ, გურულები არიან, მხოლოდ რამოდენიმე გვარი, მაგალ., ოქროპირიძეები, აბდულოღლები და სხვები. (უნდა იყოს აბდუშელიშვილი, თუ არ ვცდები) გურიიდან არ უნდა იყვნენ.

დანარჩენი გვარები ყველანი ჩვენში კარგად ცნობილნი, გავრცელებულნი არიან, მაგალითად: მამულოღლი (მამულაიშვილი) მახარ-ოღლი, (მახარაძე) ბაჯინ-ოღლი, (ბაჯელიძე) ან კიდევ „ოღლის“ მიუმატებლად: სალუქვაძე, ცეცხლაძე, ზოიძე, მეგრელიძე და სხვები. ამათში ბევრს მათგანს ქრისტიანი ბიძები, ბიძა-შვილები, მამიდის-შვილები და, ასე გასინჯეთ, ძმებიც ჰყავთ. მაჰმადიანთა შორის არიან ისეთებიც, რომელთაც ახსოვთ თავიანთი ქრისტიანობა, მაგრამ ძლიერ მკრთალად. ასეთები უფრო ღრმა მოხუცებულებია. მინდოდა ამ უკანასკნელთაგან გამეგო რაიმე საინტერესო, მაგრამ იმდენად დავიწყნიათ თავიანთი თავგადასავალი, რომ მოგონებაც კი ეზარებათ. ამ სოფელშივე შევხდი ერთს ღრმა მოხუცებულს ქრისტიან ქალს, რომელსაც 12 წელი გაუტარებია მაჰმადიანობაში. მიზეზი მისი გამაჰმადიანებისა მისი ქმრის (ბეჟან რამიშვილის) ყ ჩ ლად გაჰ რდნა ყოფილა, რომელსაც, მტრის ხელში ჩავარდნის შიშით, სარწმუნოება გამოუცვლია და ცოლშვილით მაჰმადიანებს შეხიზნებია.

როგორც ვსთქვი, ადგილობრივ მაჰმადიანობას ზნე-ჩვეულება და ლაპარაკის კილო ნამდვილი ქართული (გურული) აქვთ. ერთხელ ერთმა მაჰმადიანმა თავის სახლში მიმიწვია. მე ძლიერ მსურდა გავსცნობოდი მათს ყოფა-ცხოვრებას, ამისთვის სიამოვნებით წაველი. ჯერ დავათვალიერე მათი სამლოცველო, (ჯამე) სადაც საფლავის რამდენიმე ქვაზე ქართული წარწერაც კი იყო, და შემდეგ ჩემი მასპინძლისას მივედით. დიასახლისის გამოსვლაზე ჩემმა მასპინძელმა ბოდიში მოიხადა „ადათი არა გვაქვსო“, მაგრამ შემპირდა „ქართველურად გაგიმასპინძლდებიო“. მართლაც რომ ყველაფერი ქართველურად გამოვიდა. ყველაზე უფრო გამაკვირვა მაჰმადიანების მიერ წარმოთქმულმა სადღეგრძელოებმა. გურიაში სმის (ნადიმის) გათავების შემდეგ, ეგრედწოდებულ „საყოვლადწმიდო“-ს (ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი შეეწიოს სტუმარსა და მასპინძელსაო“ — ამბობენ), ცალლევა იციან. ზემოხსენებულ სიტყვების წარმოთქმით ყველა იქ მყოფმა მაჰმადიანებმა დასცალეს ღვინით სავსე ჭიქები.

უნდა შევნიშნოთ, რომ ღვინოს აქაური მაჰმადიანები ბლომად აყენებენ, ზოგს თავისთვის სასმელად, დანარჩენს გასაყიდად. ამათში ძლიერ გავრცელებულია ძველებური, გურიაში ცნობილი, ჯიშები ვენახისა, რომელსაც სხვაგან ამდენს არ შევხვედრივარ. მაგალ., ბათომურა, ქუმუტა, კლარჯული, ჩხავერი, ოთრონა და და სხვები, რომლებიდანაც, თურმე, მიმდინარე წლამდე, ბევრს ღვინოს აყენებდნენ, როგორც მაჰმადიანები, ისე ქრისტიანები. „წელს გამუდმებულმა გვალვებმა დიდი ზარალი მოგვაყენაო“—მითხრა ერთმა მოხუცმა მაჰმადიანმა—ჩვენს ერთადერთ შემოსავლის წყაროდ ღვინო ითვლებოდა, მაგრამ ამის შემდეგ არ ვიცით, რადა გვეშველებაო“. უკვირდები ადამიანი ქართველ მაჰმადიანების ყოფა-ცხოვრებას და გულის სევდით გევსებათ. ფიქრობთ: „ერთ დროს ხომ ესენიც ჩვენი ქვეყნის ერთგულნი შვილნი და შვილის-შვილები იყვნენ, რომლებსაც უკუღმართ დროთა მეოხებით დავიწყნიათ, ვინ არიან და საიდან წარმოსდგებიან, ვინა ვართ ჩვენ ერთმანეთისთვის და პირი სტამბოლისკენ უბრუნებიათ, სადაც ქართველების დაუძინებელი მტრები მეფობდნენ, სადაც ფადიშაჰები გეგმებს აწყობდნენ ჩვენის სამშობლოს დასამხობად!! უბადრუკებს (მაჰმადიანებს) სწყინთ, როცა ეუბნებით, ქართველები ხართო, თუმცა თურქულისა, როგორც ვსთქვი, ინჩიც არ გაეგებათ და მხოლოდ ქართულ ენაზე ლაპარაკობენ.

ზემოდ მოკლედ შევეხეთ ს. ქაქუთში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანებს, რომელთა მწარე ხვედრი გულწრფელად უნდა აღონებდეს ყველა ქართველს. ქართველი მაჰმადიანებით სავსეა მთელი აჭარა-ქობულეთი, მაგრამ ზემოთ ხსენებულ მაჰმადიანთა და უკანასკნელთა შორის დიდი განსხვავებაა. პირველნი თავიანთი ზნე-ჩვეულებით, ყოფა-ცხოვრებით და ლაპარაკის კილოთი თითქმის არც კი განსხვავდებიან თავიანთ მოძმე ქრისტიანებისაგან, ხოლო აჭარლებს ნამდვილი ქართული ლაპარაკი თითქმის არც კი ეხერხებათ, უფრო ოსმალურ ენაზე ლაპარაკობენ. ამ გარემოებამ არ შეიძლება არ დააღონოს ქართველი ადამიანი, რომელსაც თავის სამშობლოსთვის ოდნავ მაინც შესტკივა გული. აჭარლები, როგორც მოგეხსენეთ, ორ ენაზე ლაპარაკობენ—ქართულ-თათრულზე, მაგრამ არც ერთი მათგანი რიგიანად არ იციან. ვისაც მათ შორის უცხოვრია, მან კარგად იცის, რომ აჭარელი ქართულს დამახინჯებულად ლაპარაკობს, ხოლო რომ შეეკითხო „თა-

ლომიძემ მესამე საპოლიციო უბანში 12 კაცს შეუდგინა ოქმი.

✦ **ქალაქის მოურავი** ა. ი. ხატისოვი 22 ოქტომბერს ბაქოს გაემგზავრა.

✦ **მებამბეობა**. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სასტატისტიკო ბიურომ ცალკე წიგნად დაბეჭდა ცნობები ბამბის ნარგავების მდგომარეობის შესახებ 1913 წლის 1 სექტემბრისთვის. ცნობები შეეხება მებამბეობის მდგომარეობას ტფილისისა, ქუთაისისა, ბაქოსი, ერევნისა და განჯის გუბერნიაში და სოხუმის ოლქში.

✦ **ქალაქის თვით-მმართველობაში.** ქალაქის საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო კომისიის შეერთებულმა კრებამ დაადგინა: სთხოვოს ქალაქის გამგეობას, წარმოუდგინოს დაწვრილებითი სია საქალაქო შენობებისა და ძეგლებისა და აგრეთვე ცნობები მათი ღირებულების შესახებ. სიის წარდგენის შემდეგ ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილ იქნება საჭირო ფული ამ შენობათა და ძეგლების შესანახად.

✦ **ფრენა.** როგორც გვატყობინებენ, 22 ოქტომბერს მფრინავი ბ. ქებურია ხონიდან სამტრედიაში შესანიშნავად გადაფრენილა. ხონიდან სამტრედიამდე 18 ვერსია.

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსს როოპს საკუთარი ქონებიდან 3.000 მან. მიუცია მფრინავ ქებურიასთვის ახალი მოტორის შესაძენად.

✦ გამომცემლობა „მწიგნობრობის ქვეყანა“ გვთხოვს გამოვაცხადოთ ხელის მომწერთა საყურადღებოდ, რომ „ვეფხის ტყაოსნის“ ბეჭდვის საქმე ჩინებულად მიდის და თავის დროზე დაურიგდება აგენტებსა და ხელისმომწერლებს. ხელის-მოწერა კომისიონერთა და ხელის-მომწერთა თხოვნით გაგრძელდება კიდევ ერთ თვეს, სახელდობრ 21 ნოემბრამდე. ფული და კორესპონდენციები ეგზავნება მხოლოდ გამოცემის რედაქტორს შემდეგი მისამართით: Тифлисъ—Авлабаръ. Кабгеровская 29, Ю. И. Абуладзе.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება 22 ოქტომბერს მოხდა თ-დ ს. რ. ვახვახიშვილის თავმჯდომარეობით, რომლის წინადადებითაც დამსწრეებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს განსვენებულ ა. ა. ქალანთარის ხსოვნას და დაადგინეს: გვირგვინით შეამკონ განსვენებულის კუბო და საბჭო მთელის შემადგენლობით დაესწროს მის დასაფლავებას. ამის შემდეგ საბჭომ განიხილა კახეთში სამუშაო გეგმის პროექტი. მუშაობა უნდა დაიწყონ საზოგადოების მამულებში: იყალთოსა და მუკუზანში. პროექტით ამ საქმისთვის ხარჯად საჭიროა 6,000 მან. საბჭომ დაადგინა, ამ საკითხის გადასაწყვეტად კიდევ მოიწვიოს კრება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ს. ნ. ტიმოფეევი.

✦ **ქალაქის საბჭოს** კრება დღეისთვის არის დანიშნული.

## ოდესა

✦ ოქტომბერს, აქაურ „უკრაინელთა კლუბში“ ქართველ სტუდენტების მეცადინეობითა და ბ. უშვერიძის გამგებლობით გაიმართა ქართული წარმოდგენა. მონაწილენი სულ მოსწავლე ახალგაზრდობა იყო—ქალი და ვაჟი. წარმოადგინეს ავქს. ცაგარლის „ბაიყუში“ და აკაკის „ბუტიაობა.“ მონაწილეთ არაფერი დაეშურათ, რომ ყველაფერი კარგად მოეწყოთ. წარმოდგენამაც კოხტად და მხიარულად ჩაიარა. საზოგადოება ბლომად დაესწრო, ასე რომ კლუბის პატარა შენობა მთლად გატენილი იყო. იყვნენ უთავრესად აქეთ გარდმოხვეწილი ქართველი მუშები თავიანთ ცოლ-შვილითა და სტუდენტობა. დიდი მადლობის ღირსნი არიან ყველა მონაწილენი და წარმოდგენის ხელისშემწყობნი ამისთანა კულტურულ გასართობისთვის, მით უმეტეს რომ, როგორც გავიგეთ, ამისთანა წარმოდგენების პერიოდულად გამართვაა განზრახული და გამხნევება ესაჭიროებათ. ეხლა კი ის მადლობა კმარა, რომელიც დამსწრე ნასიამოვნებმა საზოგადოებამ გამოსთქვა ამ სასარგებლო საღამოს გამო.

# ღღიური

### ქართველ „ბარიშნების“ წერილები

რამდენიმე წერილი მივიღე ჩვენებურ გადარჯულებულ ქალიშვილებისაგან, აგრე წოდებულ „ბარიშნებისაგან“, რომელთაც არ მოსწონთ ჩემი დღიურის კილო და გულმტკივნეულად მირჩევენ, სხვა ჰანგზე ვწერო.

წერილი პირველი: „ბ. სიტყვა! ძლიერ მომწონს თქვენი ნაწერები, თუმცა მართალი უნდა გითხრათ, თქვენი დაწერილი არასოდეს ბოლომდის არ ჩამიკითხავს. მე უფრო რუსულ გაზეთებს ვეტანები—რა ვქნა, ასე ვარ აღზრდილი და ჩვენენები ყველანი, სახლში თუ გარედ, სულ რუსულად ლაპარაკობენ. მერე თქვენ მეტად მოწყენილად, დაღვრემილად სწერთ—მე ეს არ მიყვარს. გაზეთსა და წიგნს იმიტომ კი არ ვკითხულობ, რომ რამე ვისწავლო ან ცუდს გუნებაზე დავდგე, არამედ რომ გავერთო, გავმხიარულდე, გავიცინო. ქართულ თეატრშიაც არ დავდივარ იმის მიზეზით, რომ იქ სულ დრამებს თამაშობენ; ხანდიხან თუ შევიხედავ კლუბის წარმოდგენაზე, როცა ძლიერ სასაცილო კომედიას თამაშობენ—ყრუშაძე ან შალიკაშვილი იმერელ ლაქის წარმოადგენს, ვ. აბაშიძე—კარაპეტა ვაჭარს, ტ. აბაშიძის ასული—ან ლაზდა გიმნაზიელს. მე ვაფასებ მხოლოდ ფარსს, ვოდევილს, სხვა არც ერთი პიესა არ მომწონს. გაზეთშიაც ამისთანა გასართობს ვეძებ—გასაცინარს, სასკანდალო ამბებს, საინტერესო ანეკდოტებს, პიკანტნურ შემთხვევებს. თქვენ კი მოჰყვებით და აღარ გათავებთ—საქართველო იყიდება, ჩვენი ქვეყანა განსაცდელშია, დედა-ენას ვივიწყებთ, ჩვენი ეროვნება გადაგვარდა და სხვა. ყოველივე ეს ძალზე მოსაწყენია, მოსაბეზრებელია და გაუგებარიცაა. ქართულს თუ არ ვლაპარაკობთ, ალბად, იმიტომ, რომ არ გვჭირია—თუ ყველას რუსული გვესმის, ქართული რაღად გვინდა! ჩემმა ოთხმოც-დაათის წლის დიდედამაც რუსულად დაიწყო ლაპარაკი და მე ვისლა ვუქართულო? ჩვენს მურიას ხომ არაფერე საქართველო, საქართველოვო რომ იძახით, სადაა საქართველო: ჩემი ერთი მეგობარი ესდეკია და იმან მითხრა: ვილაც ნარიძე ყოფილა, და ამტკიცა, რომ საქართველოში ქართველები აღარ არიანო. მით უმეტესი და უკეთესი! მაშასადამე, არც ესაა სამწუხარო და სატირალი. ქართველების გადაგვარებაც უფრო გასახაროა, ვიდრე საწყენი; გადაგვარებული ქართველი უფრო სიმპატიური, უფრო ლამაზია და ჭკვიანი. გამიგონია, მეცნიერებიც ამას ამბობენ: შერეული სისხლისაგან უფრო მაღალის ნიჭის ადამიანები გამოდიანო. ამიტომ თუ ქართველები ავირევ-დავირევით სხვა ერებში, ეს გაცილებით აგვამაღლებს და გაგვაკეთილშობილებს. ამას ჩვენ თვითონ უნდა ვესწრაფოდეთ და თუ თავის თავად ხდება, ამას რაღა სჯობია!.. ასე, ბ. სიტყვა, ტყვილად ნუ მოგიწყენიათ. სამგლოვიარო არა გაქვთ რა. სწერეთ მხიარული, სასაცილო წერილები, რითაც დიდ სიყვარულს დაიმსახურებთ და მეც, მეც უზომოდ მადლობელი ვიქნები. იმედია, ჩემს თხოვნას უპატივცემულოდ არ მოეპყრობით“.

წერილი მეორე: „მაპატიეთ, რომ ამ წერილს უცნობი ადამიანი გწერთ. მაგრამ ისე დამაღონებს ხოლმე თქვენი დღიურები, ისეთს სიბრალულს და შეცოდებას აღძრავს, რომ მოსვენება მეკარგება და ნუ გაგიკვირდებათ ეს—თვალზე ცრემლებიც კი მომადგება. ძალიან მებრალებით და გული მტკივა თქვენთვის, რატომ სწერთ მუდამ აგრე გამწარებულს წერილებს? რატომ მუდამ სტირით, ემდურით ბედს, ყველას სწყევლით და შეჩვენებას უგზავნით? რატომ შეგძულებიათ ასე ქვეყანა, სიცოცხლე, სამშობლო, ერი? ნუ თუ მთლად აგიცრუვდათ გული მშვენიერს, კეკლუც საქართველოზე და არსად მოიპოვება ერთი ადგილი თქვენი საყვარელი, არსადაა ერთი ადამიანი საიმედო, ერთგული, მომავლის გამაშუქებელი?.. დამერწმუნეთ, უზომოდ ცდებით: თქვენს გოდებას, სასოწარკვეთილებას არავითარი ნიადაგი არა აქვს. საქართველო არასოდეს არ ყოფილა უკეთეს მდგომარეობაში, როგორშიც დღეს არის; არას დროს არ ყოფილა დაახლოვებული დიდებულ მომავალზე, როგორც ახლა; არას დროს არ ყოფილა ისე განათლებული, ისე გალონიერებული ქონებრივად, ისე ძლიერი თვითშეგნებით და შემოქმედებით, ასე უზრუნველყოფილი დაღუპვისაგან, ასე ბედნიერი და კმაყოფილი? მაშ, რამ დაგაღონათ, რამ შეგიწუხათ სული და გული? რამ გაგიმწარათ სიცოცხლე, მოგივლინათ ამდენი ნაღველი!.. ბევრი ვიფიქრე ამის შესახებ და იმ აზრს დავადექი, რომ თქვენის წერილების მწარე სევდიანი და უიმედო კილო არის მხოლოდ თქვენი პირად ცხოვრების მოუწყობლობის ნაყოფი. ალბად თქვენ არა ხართ პირადად ბედნიერი, კმაყოფილი; ბევრი უსიამოვნება შეგხვედრიათ ცხოვრებაში, შეიძლება ცხოვრების სახსარიც არა გაქვთ ხშირად; შეიძლება ვერსად იშოვნეთ სამსახური, შეიძლება ქლექიანი ხართ, ან გულის სიგანიერე გაქვთ, ან სხვა რამ ამისთანა მიზეზი იყოს. ასეა თუ ისე, ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ როგორც კი თქვენს პირად კერძო ცხოვრებას მოაწყობთ, თქვენი პირადი მდგომარეობა გაუმჯობესდება, თქვენი ნაწერების კილოც მაშინვე შეიცვლება და სულ სხვა ჰანგზე დაიწყებთ წერვას. ვერ გიცნობთ, მაგრამ ნათლად წარმომიდგენია თქვენი სახე, მუდამ ცუდ გუნებაზე იქნებით, მოღუშული სახით, ერთხელაც არ გაიცინებთ, ტკბილს სიტყვას არ იტყვით; სხვისი მხიარულებაც გეზარებათ, სიმღერას და მუსიკას გაურბიხართ! ამას ბოლო უნდა მოუღოთ და განიკურნოთ, მაშ, გზა ახალს ცხოვრებას! ჩვენი ქვეყანა ბედნიერია, სხვა თვალით მას ნუ შევხედავთ!..“

წერილი მე-3: „ვკითხულობ თქვენს დღიურებს და ვერა გამიგია. ვებთ და გოდებთ, ჩვენს დღევანდელს ცხოვრებაში სასიკეთო ვერა დაგინახავთ რა. თქვენთვის ცხოვრებას შავი ზეწარი გადაფარებია. ამგვარი მსოფლმხედველობა არსებითად ყალბია. ცხოვრება მხიარულებაა, ცხოვრება ლხინია, ცხოვრება. ბედნიერებაა: ცხოვრებაში მხოლოდ ერთი სინამდვილეა—სიტკბოება, გახარება და უდიდესი ნიჭი იმაში მდგომარეობს, რომ ამ სიამოვნებას ეძებდე და ჰპოვებდე ყველგან. დიახ, ყველგან, ვინაიდგან სიტკბოება ყველაფერშია, ოღონდ უნდა შევეძლოთ მისი გამონახვა. თქვენ კი თქვენი სპეციალურ ხელობის საგნად გაგიხდიათ, სწეროთ მარტო იმის შესახებ, რაც ცუდია, უვარგისია, არასალხინოა. ეს დიდი დანაშაულია, მიუტევებელი ცოდვაა. მწერლის დანიშნულება ცუდის და მწუხარების გამოაშკარავება კი არაა, არამედ ის, რომ გამოგვიცხადოს, გვიჩვენოს გასახარებელი, დასატკბობი, ღიმილის აღმძვრელი. მე არ ვხედავ ცხოვრებაში სიბოროტეს და ეგრეც რომ არ იყოს, სრულიად საჭირო არაა გაჯავრებასა და მწუხარებაზე წერა და ლაპარაკი. დაგვიწერეთ და გვებაასეთ მხოლოდ სასიხარულო, სასაცილო მოვლენებს შესახებ, მოგვიმატეთ იმედი, აღგვიძარით ნიჭი მოლხენისა, აღზარდეთ ჩვენში სიცილი და კმაყოფილება!..“

წერილი მეოთხე: „ახირებული ადამიანი ბრძანებულხართ, ვილაც სიტყვა ბრძანდებით. თქვენს წერილებს თუ თქვენთვის სწერთ, რამდენიც გინდოდეთ სწერეთ, ოღონდ ნუ დაბეჭდავთ და ამით უსიამოვნებას ნუ შეიტანთ სხვის ცხოვრებაში. ჩემს ავადმყოფს მამას თქვენმა წერილებმა მთლად მოუშხამეს სული. მთხოვს დაძინების წინ გაზეთი წავუკითხო, მაგრამ როგორც კი ავიღებ ხელში გაზეთს, უთუოდ თქვენი წერილი შემხვდება და ძალაუნებურად ვკითხულობ. საცოდავი მამა იმის მაგიერ რომ დაწყნარდეს და მიიძინოს, უფრო ღელავს, ცუდად ხდება და მთელს ღამეს აღარ ეძინება და ამის მიზეზით მთელი ოჯახი შეწუხებულია. ნუ თუ არ გესმისთ, რა სიბოროტეს სჩადიხართ? ნუ თუ ასე დაგაბრმავად თავმოყვარეობამ და წერის ჟინმა? გონს მოდით! თავი დაანებეთ, მწერლობას, ან გამოიცვალეთ კილო უსათუოდ! ქვეყანა ხარობს, ქვეყანა ყვავის, ბედნიერია და თქვენ კი:. ოჰ, მეზიზღებით სწორედ!“...

დანარჩენი წერილები სხვა დროისთვის იყოს.

**სიტყვა.**

# სომეხთა ცხოვრება

გამოჩენილ აგრონომის, საზოგადო მოღვაწის და „მშაკის“ რედაქტორის ალექსანდრე ქალანთარის დაკრძალვა მოხდება შაბათს, 26 ოქტომბერს. დილის 10 საათზე განსვენებულს გამოასვენებენ საკუთარ ბინიდან, გრიბოედოვის ქუჩა, № 5, და გოლოვინის პროსპექტით მიასვენებენ „მშაკის“ რედაქციასთან, სერგეევის ქუჩა, № 5, სადაც მცირე პანაშვიდის გადახდის შემდეგ პროცესია გაემგზავრება პუშკინის ქუჩით ვანქის საკათედრო ტაძრისაკენ, სადაც წირვის შემდეგ გაასვენებენ ხოჯივანქის სასაფლაოზე და მიწას მიაბარებენ განსვენებულის გვამს, პუბლიცისტის და გაზ. „მშაკის“ დამაარსებლის გრიგოლ არწრუნის გვერდით. დღეს, საღამოს 7 საათზე, „მშაკის“ რედაქციაში გადახდილ იქნება პანაშვიდი, პარასკევს კი განსვენებულის სადგომში.

ტრაღიკულად გარდაცვალებულ მოღვაწის დაკრძალვის ხარჯს გადიხდიან ტფილისის სომეხთა საზოგადო საკულტურო დაწესებულებანი. დაკრძალვის მოწესრიგებისათვის არჩეულ იქნა დაკრძალვის კომიტეტი, რომელიც იუწყება საყოველთაოდ, რომ გვირგვინები არ გამოგზავნონ, არამედ გვირგვინების ფასი გადასცენ დასაკრძალავ კომიტეტს, რომელიც ყველა ამ ფულს მოახმარებს რომელიმე საკულტურო მიზანს.

„მშაკის“ რედაქციას და განსვენებულის ოჯახობას მოსდის მრავალი სამგლოვიარო დეპეშები და წერილები. სხვათა შორის სამგლოვიარო დეპეშები გამოუგზავნეს: სრულიად სომეხთა კათალიკოსმა, ეპისკოპოსებმა მატთეოსმა და ხორენმა, ქალაქის თავმა ალ. ხატისოვმა, პროფ. გრედესკულმა, „ბირჟ. ვედომოსტის“ რედაქციამ და სხვებმა. სამშაბთს, 22 ოქტომბერს, განსვენებულის სადგომში დიდძალი ხალხის და მის პატივის-მცემელთა თანადასწრებით გადახდილ იქნა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს სხვათა შორის დაესწრნენ სომეხ - გრიგორიანთა ტფილისის ეპარქიის უფროსი ეპისკოპოსი მესროპი, მეცნიერი ეპისკოპოსი კარაპეტი, სენატორი ვატაცი, ჰოფმეისტერი ჯუნკოვსკი, ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი პეტერსონი, მრავალი საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტები და სხვანი. ყველა სომხურმა გაზეთმა განსვენებულის ხსოვნას უძღვნა მრავალი წერილი. ალ. ქალანთარის სახსოვრად დაარსდება ფონდი. მისსავე სახსოვრად გამოვა ჟურ. „ტარაზის“ განსაკუთრებული ნომერი.

## ანგარიში ტფ. ქართველ ქალთა საზ—ბის კრებისა

21 ოქტომბერს შესდგა პირველი საზოგადო კრება ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოებისა.

საღამოს 8 საათზე დამფუძნებელ კომისიის თავმჯდომარემ ქ-ნმა განდეგილმა გახსნა კრება და მიჰმართა დამსწრე საზოგადოებას შემდეგი სიტყვით:

„ქართველ ქალთა საზოგადოების დამფუძნებელი კრება გახსნილია! ნება მიბოძეთ მოგესალმოთ და მოგილოცოთ ეს ბედნიერი დღე! ბედნიერი-მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ ქართველმა ქალმა, არა მონამ, მაგრამ მაინც ჩამორჩენილმა, თანასწორობით შეიგნო თავისი ადამიანური უფლება, ხმა მისცა ქალთა საერთო მოწოდებას და სურს კულტურულის შრომით ჩაება საერთო ფერხულში.

ქართველ ქალს, გარდა საერთო აქალობრიო საკითხისა, თავისკერძო, შინაურული პროგრამაც აქვს: ეს არის გზის განათება და კულტურულად გაღონიერება ქართველ მუშა ქალთა. სახალხო, საეროვნო ნაყოფიერ შრომისათვის საჭირო იყო შეკავშირება, შეერთება და უფლების მოპოვება. ჩვენც, როგორც იყო, მივაღწიეთ მახლობელ მიზანს: დღეს ჩვენ უკვე ხელ ია გვაქვს ნებადართული წესდებ; მაშასადამ, უფლება გვაქვს უფრო მჭიდრო კავშირით შევერთდეთ, ხელიხელს მივსცეთ და დავანახვოთ ყველას, რომ ქართველი ქალი, ერთ დროს განთქმული თვისი მხნეობით, არ მომკვდარა“.

კომისიამ შეასრულა თავისი მოვალეობა; კომისიის მდივანი წაიკითხავს მოკლე ანგარიშს კომისიის მოქმედებისას. მდივნის მოხსენებით წესდების დამტკიცება დაჯდა 14 მ. 25 კ. ქაღალდის ფასი, აწყობა, დაბეჭდვა და აკინძვა წესდებისა და საკვიტანციო წიგნაკებისა 46 მ. 51 კაპ., განცხადება 3 მ. 50 კ. საერთო ჯამი—64 მ. 26 კ.

კომისიის თავმჯდომარემ წინადადება შეიტანა ერთხმად არჩეულ იქნეს საპატიო თავმჯდომარედ ქ-ნი ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა—ქალი ყველად პატივცემული და მოყვარული მშობლიურ საქმისა. საზოგადოებამ ერთხმად მიიღო წინადადება. შემდეგ თავმჯდომარემ განაგრძო: ბატონებო, ნება მიბოძეთ კიდევ ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ: რა გინდ ბნელით იყოს მოცული ერის ცხოვრება, გამოჩნდება გზის მაჩვენებელი ნათელი წერტილი, რომელსაც ბნელში მყოფი ერი მიჰყვება და გზას ირკვევს. ასეთ ნათელ წერტილებად მოევლინენ ჩვენს საზოგადოებას ამ ოცდაათ—ორმოცის წლის წინად სამი ყოვლად პატივცემული და უანგარო მოღვაწე მანდილოსანი. ესენი არიან ეკატერინე გაბაშვილისა, ეკატერინე მესხისა და ანასტასია თუმანიშვილი—წერეთლისა; კომისია წინადადებას აძლევს საზოგადო კრებას, რომ ეს სამი დამსახურებული მანდილოსანი არჩეულ იქნენ საზოგადოების საპატიო წევრებად. საზოგადოება ტაშის ცემით მიეგება ამ წინადადებას და სამივე ერთხმად აირჩიეს საზოგადოების საპატიო წევრებად.

შეუდგნენ ფარულის კენჭის ყრით არჩევნებს. დადგეს ყუთები, მაგრამ კრებამ რამდენჯერმე მოითხოვა არსებულ დამფუძნებელ კომისიის გამგეობად დარჩენა: ერთხმად აირჩიეს: საზოგადოების თავმჯდომარედ ქ-ნი განდეგილი, ხაზინადრად ქ-ნი ლიუბა ეგაძის ასული, მდივნებად ქ-ნი ნინო რცხილაძის ასული და ნინო ნეიმანისა; გამგეობის დანარჩენი წევრები ქ-ნნი: მერკვილაძის, ბერიშვილის ასული, მიქელაძისა, მაჭავარიანისა, აგლაძისა, გოთუასი. მათ კანდიდატებად: ქ-ნნი კლიმიაშვილის ასული, დაფქვიაშვილის ასული, ფუთუ ავალიანის ასული, ალ. კალატოზიშვილისა.

სარევიზიო კომისიის წევრებად: ქ-ნნი ვანდა ლამბაშიძისა, ან. დიასამიძისა და მარგალიტა რცხილაძისა.

შემდეგ წაიკითხეს მილოცვები და კრება დაიხურა.

იქვე მოხდა წევრთა მიღება. ამასთან სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საზოგადოების თანამგრძნობი წევრობა ისურვა გენერალმა კ. ი. მამაცაშვილმა, რომელმაც იქვე შეიტანა ერთი თუმანი.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**23 ოქტომბერი.**

**უცხოეთი.**

**სოფია.** ბულგარელმა ოფიცრებმა და ექიმებმა, რომელნიც ტყვედ

---

თული ცოტა ვიციო“—გვპასუხებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართველმა მასწავლებლებმა, რომლებიც ს. ხულოში (აჭარაშია) მსახურობენ სახეში უნდა იქონიონ, რომ აქაურელების სამშობლო ენა ბუნებრივად ქართულია და ამ ენას რაც შეიძლება (თუნდაც არა ოფიციალურად) საპატიო ადგილი დაუთმონ სკოლაში, თუ სურთ, მათმა შრომამ ღირსეული ნაყოფი გამოიღოს.

II

სრული ჭეშმარიტება იქნება რომ ვსთქვათ: ქართველი მაჰმადიანების ყოფა-ცხოვრების შეცვლა, მათი გონებრივ-ზნეობრივად ამაღლება და ეკონომიურად გაღონიერება შესაძლებელია მხოლოდ კარგს ნიადაგზე დაყენებულ სახალხო სკოლების შემწეობით

ვინ არ იცის თუ რა გამანადგურებელი ჩვეულებაა მაჰმადიანური „სისხლის აღება“, რომელსაც მსხვერპლად ეწირება საუკეთესო ვაჟკაცები და მთელი ამ ხალხის კეთილდღეობა. მათი გონებრივ-ეკონომიური ჩამორჩენა ამ უგუნური ჩვეულების ბრალიცაა, რადგან ორივე მოწინააღმდეგე მხარე მოკლებულია მშვიდობიანს, მოსვენებულ ცხოვრებას, ურომლისოდ შეუძლებელია გონებრივად და ეკონომიურად განვითარება. მათი ნიჭიერი შვილები უსწავლელები რჩებიან და მათი მშვენიერი მიწები მოუხმარელი ცდებიან. შვილები მამის ხელობას განაგრძობენ... რითი და როგორ ვუშველოთ ზნეობრივად დაცემულს და გონებრივ სიბნელეში ჩაცვივნულს ჩვენს მაჰმადიან თანამოძმეებს? აი საკითხი, რომელსაც გულწრფელად უნდა ჩაუფიქრდეს ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილი. როგორც მოგახსენეთ, მათი შველა შეიძლება მხოლოდ კარგს ნიადაგზე დაყენებულ სახალხო სკოლის შემწეობით, ისეთი სკოლისა, სადაც უმთავრესი ადგილი აქვს დათმობილი სამშობლო ენას.

უკანასკნელი გარემოება სახეში უნდა იქონიონ სამისიონერო სკოლების მახლობელმა გამგეებმაც, თუ სურთ თავიანთი მიზნის მიღწევა. გარდა ამისა საჭიროა და აუცილებელი ისეთი ქართული სკოლების დაარსება, სადაც მაჰმადიანების მოზარდი თაობა იძენდეს ელემენტარულ ცოდნას ქართული ისტორიიდან, გეოგრაფიიდან და ლიტერატურიდან, ჩვენი საუკეთესო მწერლების ნაწერების კითხვით. სკოლასთან საჭიროა წიგნთ-საცავი, სადაც უმთავრესად ქართული წიგნები უნდა იყოს, რომ მათი კითხვით აღეძრას მაჰმადიანების ბავშვებს ცოდნის შეძენის წყურვილი სკოლის გარეთაც. ეს საქმე, თუმცა ძნელი, მაგრამ მაინც განსახორციელებელი იქნება, თუ ჩვენი შეგნებული საზოგადოება თანაგრძნობას გაუწევს ამნაირ სკოლებს და გაითვალისწინებს მათს მომავალ სარგებლობას, როგორც ჩვენს გადაგვარებულ მოძმეთათვის, აგრეთვე მთელი ჩვენი ქვეყნისთვის.

1891 წლიდან ს. ქაქუთში არსებობს სამისიონერო სკოლა, დაარსებული ბ. რაჟდენ კონტრიძის ინიციატორობით. ხსენებული კონტრიძე ლიხაურის საზოგადოების მცხოვრებია, აქვს დასრულებული ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი. ამ სკოლის მასწავლებლობა მასვე უკისრნია. სწავლა ჯერ ნაქირავებ შენობაში დაუწყია, შემდეგ ქრისტიან მცხოვრებლებს სკოლისთვის აუგიათ პატარა შენობა, მაგრამ 1895 წ. უკანასკნელი, როგორც ამბობენ, ვიღაც ბოროტ-გამზრახველს დაუწვავს. აღსანიშნავია, რომ ბ-ნ კონტრიძეს 9 წლის განმავლობაში სრულიად უსასყიდლოდ უმსახურნია, მიუხედავად იმისა, რომ მას, სკოლის გახსნის მიზეზით, ბევრი პირადი მტერი გასჩენია მაჰმადიანებში, რომლებიც, თურმე, შიშობდნენ ვინმე გულუბრყვილომ სკოლაში ბავში არ შეიყვანოს და არ გააქრისტიანოსო; მაგრამ ბ. კონტრიძეს დიდი მოთმინებით და გამჭრიახობით საქმე გაუტანია, სამწუხაროდ თავდადებული მასწავლებელი სამოსწავლო მთავრობას სამსახურიდან გადაუყენებია პოლიტიკური არა-საიმედობისათვის.

დღეს ამ სკოლაში 40-მდე მაჰმადიანი ბავშია და ამდენივე ქრისტიანი; როგორც პირველის, ისე მეორეს მხრივ, ბევრი უადგილობის გამო სკოლის გარედ დარჩა.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს ორი საკუთარი შენობა, ორივე ქრისტიან მცხოვრებლების ხარჯით აგებული, რომლებიც 1000 მან. მეტი დაუჯდათ. სკოლაში ადგილის სივიწროვეა. არ არის პარტების საკმაო რიცხვი, ორივე შენობა აუცილებელ რემონტს თხოულობს, მაგრამ უსახსრობის გამო ვერაფერი გაუკეთებიათ. ან კი რა უნდა გაეკეთებიათ გარდა იმისა, რაც გააკეთეს 40-ოდე კომლს გაძვალტყავებულ გლეხობას, მაშინ როცა ყოველივე შემოსავლის წყაროს მოკლებულნი არიან. მაჰმადიანებს არც არასდროს გადაუხდიათ სკოლის გადასახადი და არც უნდათ გარდაიხადონ, თუმცა ბავშები სიამოვნებით შეჰყავთ სკოლაში.

მიმდინარე წლის გამუდმებული გვალვების მიზეზით მოვლინებულმა შიმშილობამ არც ქაქუთის მცხოვრებნი დასტოვა. მათი შემოსავლის ერთად-ერთ წყაროდ ღვინო ითვლებოდა, მაგრამ ზაფხულის გვალვებისაგან, შემოდგომის ქარისა და წვიმებისაგან ღვინის შემყურე ხალხი პირში ჩალა გამოვლებული დარჩა. რაც გვალვას გადაურჩა, ის ქარმა და წვიმამ გაანადგურა. სიმინდის მოსავალი აქ კარგი არაოდეს არ ყოფილა, ვინაიდან მიწები ვებერთელა, უნაყოფო „ეწერს“ (მოწითალო მიწა) წარმოადგენს, სადაც მხოლოდ გვიმრა ხარობს უხვად.

ზემოთ თქმულის შემდეგ მკითხველი თვითონვე მიხვდება, რომ ქაქუთის მცხოვრებთ ძალიანაც რომ სურდეთ სკოლის გაუმჯობესება, თავისთავად ვერ შესძლებენ.

მხოლოდ ვისაც კაცთმოყვარეობის გრძნობა აქვს და ვინც პატივს სცემს თავის ერს, ის არ დაიშურებს თავის წვლილს უსახსრო ხალხის დასახმარებლად.

როგორც მოგახსენეთ, სკოლის შენობები რემონტს თხოულობს, რომლის ხარჯი 275 მანეთამდეა. ამოდენა ფულის გადახდას, როგორც ვსთქვით, ვერ შეძლებს შიმშილობის მომლოდინე ხალხი, ურემონტოდ კი ზამთრის განმავლობაში თითქმის შეუძლებელი გახდება სისტემატიური მეცადინეობა. საჭიროა მიაქციოს ყურადღება ქართველმა საზოგადოებამ ამ დიდ მნიშვნელოვან სკოლას, რასაც ღირსეულად დააფასებს გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ხალხი.

**ქ. მამინაიშვილი.**

იყვნენ საბერძნეთში, საპროტესტო დეპეშა გაუგზავნეს ვენიზელოსს არაადამიანური მოპყრობისთვის. ტყვეები უსინათლო და უჰაერო ოთახებში მოათავსეს და ერთმანეთთან დალაპარაკების ნებას არ აძლევდნენ.

**სტამბოლი.** სამხედრო სასამართლომ დაიწყო სომხების საქმის გარჩევა, რომელთაც ადაბაზარის ინციდენტში მონაწილეობა ბრალდებათ.

**რომი.** დამატებითი არჩევნების დროს აირჩიეს 52 სამინისტროს მომხრე, 17 რადიკალი, 5 რესპუბლიკელი, 2 სოციალისტი-რეფორმატორი, 19 სოციალისტი და 6 კათოლიკე.

**კოკოვცევი** სრულიად კარგად არის და პარიზს გაემგზავრა.

სტეფანოს სააგენტოს ვალონიდან ატყობინებენ: საერთაშორისო საკონტროლო კომისიას მემორანდუმით მომართეს ემიგრანტებმა და მოძმე ალბანელების დაცვას თხოულობენ ბერძნების სისასტიკისაგან.

**ნიუ-იორკი.** ამერიკელმა ელჩმა ხუერტას ულტიმატუმი ჩააბარა, რომ ხუერტა ეხლავე გადადგეს და მის ადგილას პრეზიდენტად მინისტრებისაგან არავინ იქმნეს არჩეული. ამბობენ, ხუერტა ან გადადგება და ან მკვახე პასუხს გასცემსო ამერიკის ჩრდილოეთის შტატებსო. ჯერჯერობით ხუერტას პასუხი არ მიუცია.

**ხუელვა.** მაღაროებში გამოიხრჩვა 5 ინგლისელი და ორი ესპანელი მუშა.

**ჰამბურგი.** ფარულად ჩამოვიდა ბელგიის მეფე,

**ლონდონი.** აბერდინში ბალფურმა ჰომრულის თაობაზე ილაპარაკა და განაცხადა: მთავრობამ ხალხის სურვილი უნდა გაიგოს და ისე იმოქმედოსო. მთავრობა, რომელიც თავის თავს დემოკრატიულს უძახის, სხვანაირად ვერ მოიქცევაო. გრეის სიტყვებს—ძალას ძალით შევხვდებითო—ბალფური უაზროდ სთვლის. თუ სისხლი დაიღვარა, პასუხის მგებლობა მთავრობას დააწვება კისერზეო. თუნდაც ყველა ამომრჩეველმა რომ აღიაროს ჰომრულის საჭიროება, ბალფურის ვერავინ დააჯერებს, რომ ჰომრული აუცილებელ საჭიროებას შეადგენდეს.

**ბერლინი.** ვილჰელმის მფარველობით დაარსდა ანტიურ ხელოვნების მოყვარულთა კავშირი.

**რიო დე ჟანეირო.** მატარებლების დაჯახების დროს მოკვდა 50, ხოლო დაშავდა ბევრი ადამიანი.

**თეირანი.** მინისტრთა საბჭო ოსმალეთის საზღვრების მოწესრიგების საკითხს განიხილავს.

**ცეტინიე.** დასრულდა სერბია-ჩერნოგორიის საზღვრების აღმნიშვნელ კომისიის მოქმედება; ჩერნოგორიას მიეკუთვნა: პლევლე, დიაკოვიცა და თითქმის მთელი მეტოხია.

**მიუნხენი.** სახელმწიფო საბჭომ და პალატამ მიიღო კანონ-პროექტი რეგენტობის გაუქმების თაობაზე. კანონ-პროექტი ოფიციალურ ორგანოში დაიბეჭდა და კანონად იქცევა.

**პარიზი.** საფრანგეთმა სერბიას 250 მილიონი ფრანკი ასესხა. სერბიამ უნდა იხადოს წლიურად ორი მილიონი ფრანკი ოსმალოს ვალისაგან. ბულგარეთი ყოველწლიურად გადაიხდის 2,750,000 ფრანკს, საბერძნეთი 7 მილიონს, ჩერნოგორია 652 ათასს ფრანკს.

საფრანგეთი აპირებს ასესხოს საბერძნეთსა და ბულგარეთს 250 მილიონი ფრანკი თითოს. ოსმალეთს—750 მილიონი ფრანკი.

განახლდა პარლამენტის სესია. ფინანსთა მინისტრმა 1914 წლის ბიუჯეტი წარადგინა. ბარტუმ განაცხადა, პალატა ვერ შესძლებს სესიის გათავებამდე საარჩევნო კანონის განხილვის დასრულებასო. პალატამ ხმის უმრავლესობით 291 წინაამდეგ 273-სა დაადგინა: შეუდგეს პირველად საარჩევნო კანონის განხილვას. ბარტუ წინადადებას იძლეოდა საერო სკოლის დაცვის საკითხი გაერჩიათ. სამხედრო მინისტრმა შეიტანა დამატებითი პროექტი სამწლიან სამხედრო ბეგარის კანონის განხორციელების თაობაზე. 1914 წლის ბიუჯეტის ბალანსი 5.373,300.000 ფრანკს უდრის. ხარჯი გადიდებულა 681 მილიონით. დეფიციტი 794 მილიონამდეა. ხარჯის უმთავრესი მუხლი მაროკოა, რომლისთვისაც გადადებულია 202 მილიონ-ფრანკი. მაროკოს ხარჯის გასასტუმრებლად აღებულ იქმნება 404 მილიონის სესხი დანარჩენი დეფიციტის (288 მილიონი) გადასაწყვეტად შემოღებულ იქმნება ახალი გადასახადები.

**ათინა.** საბერძნეთის საპასუხო ნოტა 22 ოქტომბერს საღამოს ჩააბარეს ავსტრია-უნგრეთს და იტალიას.

საბერძნეთმა ოსმალეთს მცირე ვადა კიდევ მისცა პასუხისთვის, რომლის შესრულების შემდეგ შესცვლის, ალბად, თავის მოქმედებას ოსმალებისადმი.

**ტოკიო.** შეუდგნენ მეოთხე 30 ათას ტანიანი დრედნოუტის შენებას, რომელსაც 1914 წლისთვის დაამთავრებენ.

### რ უ ს ე თ ი.

**ტროიცკოსლავსკი.** აქ ჩამოვიდა პეტერბურგში მიმავალი მონღოლეთის პრემიერი საინოენხანი მეუღლით, თარჯიმნების, ორი თავადის და ამალის თანხლებით. სულ 27 კაცი ახლავს.

**მინსკი.** კსენძი კარპოვიჩი სამართალში მისცეს მართლმადიდებელ გლეხების კათოლიკურ წესზე მონათვლისთვის.

**ჩელიაბინსკი.** ამ წლის პირველ იანვრიდან 23 ოქტომბრამდე ციმბირში გადასახლდა 179,317 კაცი და გაიარა 71,782 „ხოდოკმა". უკან დაბრუნდა 31,065 გადასახლებული, „ხოდოკი" 41,553 კაცი.

**ლუცკი.** გახსნეს ალექსანდრე მესამის ძეგლი.

**სმოლენსკი.** გაიხსნა ჰლექიანთათვის პირველი საავადმყოფო.

**პოლტავა.** ლოხვიცკის ერობამ დაადგინა გახსნას წიგნის მაღაზიები, რომ ხალხმა შინაარსიანი წიგნები იკითხოს, თორემ ეხლა ძლიერ გავრცელებულა ხალხში უშინაარსო და უზნეო ხასიათის წიგნები.

**პეტერბურგი.** ვაჭრობის მინისტრმა სათათბიროს წარუდგინა კანონ-პროექტები: სელით ვაჭრობისა და თავისუფალ ფლოტის მიმოსვლის წესების თაობაზე.

დაიხურა სრულიად რუსეთის გომეოპატთა კრება. საერთაშორისო კრების წევრებად არჩეულ იქმნენ ბრაზოლი (პეტერბურგიდან) და სერკოვი (მოსკოველი). შემდეგ კრება მოსკოვში 1918 წელს.

თავად-აზნაურობის საკრებულოში ელისეევების ფირმის ასი წლის სადღესასწაულო საღამო გაიმართა. დაესწრო ხუთი ათასამდე კაცი დეპეშები იყო ყველა მხრიდან. სხვათა შორის მიულოცეს კავკასიის. მეფის მოადგილემ, ვაჭრობის მინისტრმა და სხვათ. საქველმოქმედოდ ელისეევებმა ასი ათასი მანეთი გადასდეს.

### შ ა ვ ი ჭ ი რ ი

**ნოვოჩერკასკი.** კალაჩსა და ნოვოპეტროვკაში შავი ჭირით არავინ გამხდარა ავად 15 ოქტომბრის შემდეგ. 20 ოქტომბერს გარდაიცვალა ერთი ქალი. გროშოსლავში სამი კაცი. ავად გახდა ერთი კაცი. ყველგან დეზინფექციას ახდენენ.

### ბეილისის საქმე.

**კიევი.** სასამართლო უარს ეუბნება დამცველებს, თალმუდის ტექსტების და სხვა და სხვა წიგნების ნათარგმნ ადგილების წაკითხვას თაობაზე; დამცველებს უფლება აქვთ ექსპერტებს კითხვები მისცენ მათთვის საინტერესო ადგილების თაობაზეო. ექსპერტი პროფესორი ტიხომიროვი აცხადებს განსხვავება აკადკოკოვცევსა და მის აზრს შორის წვრილმანებს შეეხება. არც ცადიკების მოძღვრება არც ძველი აღთქმა, ტიხომიროვის აზრით, ქრისტიანების საწინააღმდეგოს არაფერს შეიცავს. ყოფილა შემთხვევა, რომ ებრაელებს ქრისტიანი ეწვალებინოთ, მაგრამ ცოტა მაგალითია, რომ ქრისტიან მისიონერებს ებრაელი დაეტანჯოს?

მოსკოველი რაბინი მაზე ეთანხმება უკანასკნელს სამ ექსპერტებს, მხოლოდ წვრილმანებში არ ეთანხმება. დაბადება ებრაელთათვის წმიდათა წმიდაა. ლაპარაკის დროს თავმჯდომარე შეაჩერებს და ეუბნება: არც ერს და არც სარწმუნოებას ბრალს არავინ სდებს, ხოლო სურთ გაიგონ, შეიძლება თუ არა სამღვთო წერილების გაუგებრობის გამო ბოროტ-მომქმედი სექტა არსებობდეს. მოსეს კანონები ძალაშია. ცნება: „კბილი კბილის წილ და თვალი თვალის წილ", ხსენებაშიაც არ არის. თავმჯდომარე რამდენჯერმე შეაჩერებს და ექსპერტს ეუბნება: თქვენი ჩვენება მეცნიერის დინჯი, აწონილი ლაპარაკი უნდა იყვესო. მართლაც, განაგრძობს რაბინი, თალმუდიდან ყველაფრის დასკვნა შეიძლება, ხოლო სისხლის ხმარების და კაცის მოკვლის თაობაზე რამე ამოიკითხოთ, შეუძლებელიაო. სისხლის თაობაზე რაბინი ამტკიცებს: ებრაელებს აკრძალული აქვთ მოხარშული და ყოველნაირი სისხლის ხმარება. ძველად მსხვერპლის შეწირვას ცოდვათა გამოსყიდვის მნიშვნელობა ჰქონდა და ადამიანის მსხვერპლად შეწირვაზე არც კი შეიძლება ლაპარაკს იყვესო. რომ კარგად ითარგმნოს ებრაული, ამიტომ საჭიროა ღრმა ცოდნა ძველი ებრაულისაო. თორას საფუძველზე ბალაშემმა დაარსა ხასიდების სექტა. რომელიც ქრისტიანების საწინააღმდეგოს არაფერს შეიცავს. შემდეგ ხასიდების ხელმძღვანელად იყო ზელმან შნეერსონი. შნეერსონი დიდი ერთგული იყო რუსეთისა და ღვაწლიც მიუძღვის რუსეთის წინაშე ნაპოლეონის დროს. ხასიდების სექტა ალექსანდრე პირველის დროს ნება დართული იქმნა. დამცველებს უპასუხებს, რომ შეუძლებელია იუშჩინსკი ებრაელებს მოეკლათ რიტუალურის მიზნითაო. ბრალმდებელი და სამოქალაქო მოსარჩლე უარს აცხადებენ, რომ კითხვები მისცენ ექსპერტს.

ხელმეორედ შეეკითხებიან არანაიტისს, რომელიც იმეორებს, რომ ყველა ტექსტი სწორედ არის ნათარგმნი. დამცველებს ეუბნება: „ეგზამენზე ხომ არა ვარ"? და არც უპასუხებს. კოკოვცევი იმეორებს, თარგმნის დროს შეცდომებია გაშვებული, მე დედნიდან ვთარგმნეო. გამოძიება დასრულდა 23 ოქტომბერს პირველს საათზე ბრალმდებელმა დაიწყო ლაპარაკი.

## წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა მოვახსენო შემდეგ პირთ: შუამთის მონასტრის არქიმანდრიტს ნესტორს—შემოსწირა 10 ცალი სხვა და სხვა წიგნი, ბ. ვანო პაატაშვილს—2 საყმაწვილო მოთხრობა, თამარ გომელაურის ასულს—5 ცალი „ნაკადული". ქ. მ. მ. კრუპენიკოვისას—24 კალმის ტარი, 24 ფანქარი და ერთი კოლოფი კალამი, ბ. ლ. ბოცვაძეს—ნახევარ ფასად დაგვითმო გოგებაშვილის 70 სურათი. ბ. ვანო დუშურაშვილს—70 სურათი ილია ჭავჭავაძისა, თავადის ასულს ნინო ჩოლოყაშვილს და ქალთა წმ. ნინოს უფროსი სკოლის მოწაფეებს—10 ცალი დედა ენა II ნაწ. და 10 ცალი I ნაწ., თავადის მეუღლეს ე. ს. ყორჩიბაშ-რუსიშვილისას 5 ცალი რუსული წიგნაკი, 12 ნომერი „ჯეჯილი"-სა 1907 წლისა, 24 ნომერი „ნაკადული"-სა მცირე წლოვანთათვის 1907 წლისა.

ქ. შ. წ.-კ. გ. ს. თელავის განყოფილების სკოლის მასწავლებელი **ნინო გოგნიაშვილისა.**

## ს პ ო რ ტ ი

**ცირკი ძმ. ესიკოვსკების.**

მე-5 დღე ჩემპიონატისა.

1 წყვილი: ტიგანე და პუგაჩოვი; წააქცია ტიგანემ 1 წუთსა და 52 წ.

2 წყვილი: ციპსი და სეპნიკი. ამათი ჭიდაობა ფრიად საინტერესო იყო. სეპნიკი კარგი მოჭიდავეა, თუმცა ჯერ ახალგაზდა, ამიტომ მსოფლიო ფალავანი ციპსი ძალიან ფრთხილობდა. რამდენჯერმე იყო კიდეც გასაჭირ მდგომარეობაში და დიდი გამოცდილება სჭირდებოდა, რათა თვისი ბეჭები გადაერჩინა ფარდაგზე გაკვრისაგან. გამოცდილებამ უშველა კიდეც მე-17 წუთზე კისრულით დასცა სეპნიგი. ხალხმა ორივე ტაშისცემით დააჯილდოვა. 3 წყვილი: მაისურაძე და ფრეიენდორფი; წააქცია მაისურაძემ 6 წუთსა და 45 წამში. 4 წყვილი: კაპიოვი და სოკოლი. მათი ჭიდაობა—მეორეა; პირველად კაპიოვმა წააქცია. დიდი ღონე, ტეხნიკა და დრო დასჭირდა კაპიოვს, რომ სოკოლი კიდევ წაექცია. მე-16 წუთზე კაპიოვმა სოკოლი ისეთ დროს დაიჭირა, როდესაც ის პირქვე წვებოდა. ფეხების მაღლა შექნევის დროს გადააბრუნა. ხალხი ჰყვიროდა: ჯერი არ არის, მაგრამ არბიტრმა წაქცეულად სცნო. ამ ფანდს ფრანგულად ჭიდაობაში სახელი არა ჰქვიან და ამისთვის არბიტრმა კრუჩინინმა თავისებური სახელი უწოდა ოხუნჯობით: ჯამბაზი ნუ იქნებიო. **გ. ნ.**

რედაქტორი **ა. ჭუმბაძე.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**


კავკასიის ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წარმომადგენელი

**დ. გ. ამირთაევის**
**სპარსული და კავკასიური მაღაზია**

ტფილისი, კირკის ქუჩა, № 19. ტელეფონი № 15—82

დიდი არჩევანი: ყოველნაირ ხალიჩებისა, ფალასისა, კრაველისა, სპარსული აბრეშუმის ნაირი საბნებისა, მანდილებისა და მატერიისა, ნაბდებისა, ფეხსაცმელებისა, ვერცხლეულობისა, საგზაო ნივთებისა: ფაფახები, ყაბალახები, აზიური შალები; ძველი ანტიური ნივთები და სხვა. შეიძლება ნახმარი ხალიჩების ყიდვა და აგრეთვე ძველი ხალიჩის ახალში გაცვლა.

ფ ა ს ე ბ ი ზ ო მ ი ე რ ი ა

ფირმა არსებობს 1870 წლიდან. საწყობი ზუბალაშვილის ქარვასლაში. 1551

ექიმი **ზ. ა. მიქელაძე** 16 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ: 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3. სახ. გაბაშვილისა.

**ა. კიპიტ.** აძლევს სიმწიფის მოწმობისათვის, სამხედრო სასწავლებლში, 1 ხარისხის ვოლნოოპრედელიაიუშჩის გამოცდისათვის და სასულიერო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. შეთანხმების მიხედვით **პირობას ვაძლევ გამოცდის ხასიათზედ შედეგების შესახებ.** ნახვა შეიძლება: დილით 12—1 საათამდე და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახ. № 142 (პიროგოვის ქუჩის კუთხე). 1540



პარიზის უკანასკნელი მოდის ახალი ფასონები

**კორსეტების**

ვენის საკორსეტო ლაბორატორიაში სახელოსნოში

**გ. ა. ლევინი.**

ტფილისი, ვერის ქუჩა, თამარის და ... კუთხე. 1168

**მეომ ნავასარდიანის**

**პირველი კერძო სამკურნალო**

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

**დ ი ლ ი თ:**

„606" და „914"

11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ასლანოვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერხემლისა.

**ზ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საზებით, ქალებისა და ბავშვებისა.

**ს. ტ. მუელიანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი ბავშვთა და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საზებით და ქალების ავადმყ.

**კ. დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, ბავშვთა, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

1004

**ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება**

**წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:**

ჭავჭავაძე ილია ისტორია! . 35 კ.
ჭყონია. ისტორიული ნარკვევი . 1—50 „
ჭიჭინაძე ზ. ისტორია ქართ. ჟურნ.-გაზეთებისა . . . 15 „
— კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში . . . . 50 „
— „ „ ბათომში 10 „
— კათოლიკეთა ეპისკოპოსის მობრძანება საქართველოში . . 10 „
— მესხეთ-ჯავახეთის გათათრება . 10 „
— სოლომონ ლეონიძე . . 10 „
— ქართ. კათოლიკეთა სასულ. მოღვაწენი და მესხეთ ჯავახეთის ცნობა . . . . 25 „
— ქართვ. კათოლიკეთა ვაჭრობა, . 30 „
— ქართვ. კათოლ. ყველა ასპარეზზე 25 „
— ქართული სტამბა . . 10 „
— საქართველოს ცხოვრება . 1 მ.—
— მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში . 60 „
— ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი . . . 50 „

**ახალი წიგნები:**

ყრის სულის მეფე, ლეგენდა, რუხაძე. 5 „
ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება 25 „
ყოველის მხრიდან, ლომაურისა . 10 „
გენეალოგია დიდი ალექსანდრე მეფისა 30 „
საქართველოს გმირი გიორგი სააკაძე 80 „
Списокъ пьесъ на груз. языкѣ разрѣшенныхъ къ представленію 40 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва расир. грам. ср. груз. нас. 1913

გამოსულია და იყიდება

**ი. გედევანიშვილის** პიესა

**„გ ა მ ც ე მ ი"**

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.



**კალოშები**

**ტრეუგოლნიკ**

1523

ამერიკულ ვაზის სანერგე

**კ ლ ო-ქ გ უ რ უ ლ ი**

ქ უ თ ა ი ს შ ი.

ერთი-ორთია, რომელიც სხვა და სხვა ნიადაგზე და სხვა და სხვა ძირზე იმყნება. 1913—14 წ. გვაქვს გასაყიდად 35,000 წოლიკაური, 4,000 კრახუნა. 22,000 ცოცქა, 12,000 ანდასაური, 10,000 მწვანე, 32,000 რქა-წითელი, 35,000 საფერავი, 12,000 გალობიშავი, 8,000 ოცხანაური, 25,000 ალიგოტე, 8,000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიენი, 42,000 კაბერნე, 20,000 პოლ-ბლანში, 15,000 გრანნუარი, 28,000 განე თეთრი და შავი და 80,000 მეტი საუკეთესო ჯიშის ნამყენი რუპერსის დიულო 3309, 101, 14, 1202 და 420 A—65 მან. 1,000 ცალი სადვინე ჯიშისა და 80 მან. 1,000 სამეფო ჯიშის.

ადრესი: წერილებისა და დეპეშებისთვის: **კლო-ქგურული, ქუთაისი.** 665

**მივიღეთ ცივადი-მატარებლით პეტერბურგიდან**

თევზის მრეწველნი

**ძმ. ძეგველოვები.**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9. ტელეფონი № 712.

ამურის **წითელი ხიზილალა** (კეტოვი), სიგი, დვინის ორაგული, გრუზდი, ბრუსნიკა და სხვ.

აგრეთვე იყიდება მაილოვის

**ხ ი ზ ი ლ ა ლ ა**

კოლოფით და ხმელი სოკო. 1500

მთელს დედა-მიწაზე საუკეთესო

**გრამო-** G S D **ფონებს**

„იაკორ"-ს

ჰქონდის სავაჭრო მაღაზია გრამოფონებისა

**გ. ს. დავიდოვისა.**

ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდა შეიძლება.

გოლოვინის პროსპექ., № 6, საკრებულოს ქვეშ.

1531